ნინო ხვლეური, ფლორა ესებუა

კორვინუსის ბუდაპეშტის უნივერსიტეტი, უნგრეთი

Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, შესაძლებლობა გვქონდა მონაწილეობა მიგვეღო კორვინუსის ბუდაპეშტის უნივერსიტეტის (Corvinus University of Budapest) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში (International Staff Training Week 2023). პროგრამა დატვირთული იყო საინტერესო აქტივობებით, ტრენინგებით, რომლებიც ისეთ აქტუალურ საკითხს ეხებოდა, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი აკადემიურ სივრცეში. მონაწილეობა მივიღეთ ვორქშოპში, რომელიც უმაღლეს განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობებსა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებს ეხებოდა.

ასევე, წარვადგინეთ პრეზენტაცია, რომლის მთავარი თემაც იყო კოვიდპანდემიის გავლენა სტუდენტებზე. პრეზენტაციის ფარგლებში კვირეულის მონაწილეებს გავაცანით როგორც საქართველოში ჩატარებული უახლესი კვლევების შედეგები, ასევე ფსიქოლოგიური დახმარების შესახებ კავკასიის უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობები.

ვიზიტის კულტურული და სოციალური ღონისძიებების ნაწილში შევხვდით ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური გუნდის წარმომადგენლებს.

,,ერაზმუს+”-ის ამ აქტივობის ფარგლებში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო როგორც უახლესი და აქტუალური საკითხის (ხელოვნური ინტელექტი უმაღლეს განათლებაში) შესახებ საინტერესო პრაქტიკების თაობაზე ინფორმაციის მიღების, ასევე არსებული და პოტენციური პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენელთა გაცნობის თვალსაზრისით.